ასწავლეთ თქვენს შვილს წესი საცვლების შესახებ

დაახლოებით ხუთიდან ერთი ბავშვი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდება, თქვენ კი შეგიძლიათ, ააცილოთ ეს საკუთარ შვილებს. ასწავლეთ მათ წესი საცვლების შესახებ.

წესი საცვლების შესახებ

ეს მარტივი გზამკვლევი მშობლებს ეხმარება, რომ თავიანთ შვილებს აუხსნან, თუ სად არ უნდა შეეხონ სხვა ადამიანები, რა რეაგირება უნდა ჰქონდეთ ამაზე და სად უნდა ეძებონ დახმარება. რას გულისხმობს საცვლების წესი? ეს მარტივია: არ შეიძლება, ბავშვს ვინმე შეეხოს სხეულის ისეთ ნაწილზე, რომელიც დაფარულია საცვლით. არც თვითონ უნდა შეეხონ სხვა ადამიანს მსგავს ადგილებზე. წესი გვეხმარება იმის ახსნაშიც, რომ ბავშვს საკუთარი სხეული თვითონ ეკუთვნის, და რომ არსებობს კარგი და ცუდი საიდუმლოები, ასევე, კარგი და ცუდი შეხებები.

როგორ ვასწავლოთ ბავშვს საცვლების წესი?

ეს წესი შემუშავდა მშობლებისა და მზრუნველებისთვის, რათა მათ დაეხმაროს ბავშვთან დისკუსიის დაწყებაში. ინსტრუმენტი შეიძლება ძალიან ქმედითი აღმოჩნდეს სექსუალური ძალადობის პრევენციის პროცესში. საცვლების წესს აქვს 5 მნიშვნელოვანი ასპექტი.

1. შენი სხეული შენი საკუთრებაა

ბავშვს უნდა ასწავლოთ, რომ მისი სხეული მას ეკუთვნის და არავის აქვს შეხების უფლება, თუ ამის ნებართვას არ მისცემს. ღია და პირდაპირი კომუნიკაცია, ადრეულ ასაკშივე საუბარი სექსუალურობასა და სხეულის ინტიმურ ნაწილებზე (გენიტალიებისა და სხეულის სხვა ადგილების კორექტულ დასახელებათა გამოყენებით), ბავშვს დაეხმარება, რომ კარგად გაიგოს, რა არის დაუშვებელი. მას უფლება აქვს, უარი თქვას კოცნასა ან შეხებაზე, თუნდაც საყვარელი ადამიანისგან. ბავშვს უნდა ასწავლოთ მყისიერი და მტკიცე უარის თქმა დაუშვებელ ფიზიკურ კონტაქტზე, ასევე, სახიფათო სიტუაციიდან თავის დაღწევა და ნდობით აღჭურვილი უფროსისთვის შეტყობინება. მნიშვნელოვანია, ხაზგასმით უთხრათ, რომ საკუთარი პოზიცია მანამდე უნდა დაიცვას, სანამ ამას სერიოზულად არ მიიღებს მეორე ადამიანი.

წიგნში ხელი ყოველთვის სთხოვს კიკოს ნებართვას, სანამ შეეხება. ზოგჯერ კიკო თანხმდება. როდესაც ხელი მოისურვებს საცვლების ქვეშ შეხებას, კიკო მკაცრად ამბობს: „არა!“ მშობლებმა ან მზრუნველებმა ამ თანმიმდევრობით უნდა აუხსნან ბავშვებს, რომ მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ თქვან „არა!“

2. კარგი შეხება - ცუდი შეხება

ბავშვი ყოველთვის ვერ ასხვავებს მისაღებ და მიუღებელ შეხებას. უთხარით, რომ მიუღებელია, თუ ვინმე უყურებს ან ეხება სხეულის ინტიმურ ნაწილებზე, ან სთხოვს, სხვას შეხედოს ან შეეხოს მსგავს ადგილებზე. საცვლების წესი ბავშვს ეხმარება, რომ დაიხსომოს ადვილად აღსაქმელი და აშკარა ზღვარი: საცვალი! ეს მშობელსაც უმარტივებს შვილთან საუბრის დაწყებას. თუ ბავშვი არ არის დარწმუნებული, მისაღებია თუ არა მეორე ადამიანის ქცევა, აუხსენით, რომ დახმარებისთვის უნდა მიმართოს უფროსს.

წიგნში კიკო არ იძლევა უფლებას, რომ საცვლების ქვეშ შეეხონ. მშობელს შეუძლია, ბავშვს უთხრას, რომ ზოგჯერ სხვა ადამიანს შეიძლება უნდოდეს მისი შეხება, მაგრამ ბავშვს უნდა შეეძლოს „არას“ თქმა, როცა სიტუაცია შემაწუხებელია მისთვის.

3. კარგი საიდუმლო - ცუდი საიდუმლო

საიდუმლოების დაცვა სექსუალურ მოძალადეთა ძირითადი ტაქტიკაა. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ბავშვს ვასწავლოთ, როგორ განასხვაოს კარგი და ცუდი საიდუმლო ერთმანეთისგან და შევუქმნათ თავდაჯერებულობის ხელშემწყობი გარემო. ნებისმიერი საიდუმლო, რომელიც იწვევს მის შეშფოთებას, უხერხულობას, შიშს ან სევდას, არ არის კარგი და არ უნდა შეინახოს. მსგავსი შემთხვევა ბავშვმა უნდა გაუმხილოს პირს, რომელსაც ენდობა (მშობელი, მასწავლებელი, პოლიციის ოფიცერი, ექიმი).

წიგნში ხელი მოუწოდებს კიკოს, რომ არ დამალოს, თუ ვინმეს მოუნდება ხელის მოკიდება შეუფერებელი მანერით. შეგიძლიათ, ამ თანმიმდევრობით განიხილოთ, რით განსხვავდება კარგი საიდუმლო (მაგალითად, სიურპრიზად მოწყობილი წვეულება) ცუდი საიდუმლოსგან (მაგალითად, რაც ბავშვს ცუდ გუნებაზე აყენებს ან ანერვიულებს). მშობლებმა ბავშვებს უნდა მოუწოდონ ცუდი საიდუმლოს გაზიარებისკენ.

4. პრევენცია და დაცვა უფროსის პასუხისმგებლობაა

ბავშვს, რომელზეც ძალადობენ, აქვს სირცხვილის, დანაშაულისა და შიშის განცდა. უფროსებმა თავი უნდა შეიკავონ სექსუალურობის ტაბუირებისგან და დარწმუნდნენ, რომ ბავშვმა იცის, ვის მიმართოს, როდესაც აღელვებული ან მოწყენილია. მას შეიძლება ჰქონდეს განცდა, რომ ყველაფერი წესრიგში არ არის. მშობლები ყურადღებით და გაგებით უნდა მოეკიდონ შვილის გრძნობებსა და ქცევას: ის შეიძლება ბევრი მიზეზით ამბობდეს უარს სხვა უფროსსა ან ბავშვთან ურთიერთობაზე და ამას პატივი უნდა ვცეთ. ბავშვები უნდა გრძნობდნენ, რომ მათ ყოველთვის შეუძლიათ მშობლებთან საუბარი მსგავს საკითხებზე.

წიგნში ხელი კიკოს მეგობარია. უფროსები იმისთვის არსებობენ, რომ ბავშვებს დაეხმარონ ყოველდღიურ ცხოვრებაში. სექსუალური ძალადობის პრევენცია, უპირველეს ყოვლისა, უფროსების პასუხისმგებლობაა და მნიშვნელოვანია, მთელი ტვირთი ბავშვს არ დააწვეს მხრებზე.

5. საცვლების წესის თანმდევი სხვა სასარგებლო მინიშნებები

შეტყობინება და გამჟღავნება

ბავშვმა უნდა იცოდეს, თუ ვინ შეიძლება იყოს მისი უსაფრთხოების ქსელის ნაწილი. მას უნდა მოვუწოდოთ ისეთი ადამიანების შერჩევა, რომლებსაც ენდობა, ხელმისაწვდომად მიიჩნევს და შეუძლიათ დახმარების გაწევა. ერთი ასეთი ადამიანი უნდა ცხოვრობდეს ბავშვთან ერთად, მეორე ნდობით აღჭურვილი პირი კი იყოს ოჯახის გარე წრიდან. ბავშვმა უნდა იცოდეს, როგორ მოიძიოს დახმარება ასეთი ნდობის ქსელიდან.

ნაცნობი დამნაშავეები

უმეტეს შემთხვევაში, დამნაშავე ბავშვისთვის ნაცნობი პირია. პატარისთვის ძალზე ძნელი გასაგებია, რომ მასზე შეიძლება იძალადოს ნაცნობმა ადამიანმა. გაიხსენეთ დაყოლიების პროცესი, როდესაც დამნაშავე ცდილობს ბავშვის ნდობის მოპოვებას. წესად უნდა დაადგინოთ მშობლების რეგულარულად ინფორმირება ისეთ პირზე, რომელიც ხშირად ჩუქნის ბავშვს საჩუქრებს, სთხოვს საიდუმლოს შენახვას, ან ცდილობს, მარტო გაატაროს დრო მასთან.

უცნობი დამნაშავეები

ზოგ შემთხვევაში, დამნაშავე უცნობი ადამიანია. ასწავლეთ შვილს უცნობებთან კონტაქტის მარტივი წესები: არასდროს ჩაუჯდეს მანქანაში ადამიანს, რომელსაც არ იცნობს და არასდროს მიიღოს მისგან საჩუქრები და მიპატიჟება.

დახმარება

ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ არიან პროფესიონალები (მასწავლებლები, სოციალური მუშაკები, ომბუდსმენები, სკოლის ფსიქოლოგები, პოლიცია), რომლებსაც შეუძლიათ მისი დახმარება; ასევე არსებობს დახმარების ხაზები, სადაც შეუძლიათ დარეკვა და რჩევის თხოვნა.

რატომ წესი საცვლების შესახებ?

დაახლოებით ხუთიდან ერთი ბავშვი რომელიმე სახის სექსუალური იძულების ან ძალადობის მსხვერპლი ხდება. ეს ემართება ნებისმიერი ასაკის, სქესის, კანის ფერისა და აღმსარებლობის მქონე ბავშვს, ნებისმიერი სოციალური კლასიდან. დამნაშავე ხშირად ისეთი პირია, რომელსაც ბავშვი იცნობს და ენდობა. ის შეიძლება ბავშვიც იყოს.

თქვენ შეგიძლიათ, ბავშვს ააცილოთ მსგავსი შემთხვევები

ბავშვებთან კარგი კომუნიკაცია უმნიშვნელოვანესია. ეს გულისხმობს გახსნილ, პირდაპირ და მეგობრულ ურთიერთობას და არა შემაშინებელი ატმოსფეროს შექმნას.

შეიძლება ამაში დაგეხმაროთ საცვლების წესი

ბავშვი არასდროს არის პატარა იმისთვის, რომ ასწავლოთ წესი საცვლების შესახებ, რადგან ძალადობა შეიძლება ნებისმიერ ასაკში მოხდეს. თუ უხერხულობას გრძნობთ შვილთან ამ თემაზე საუბრისას, გახსოვდეთ, ეს თქვენთვის უფრო ძნელია (როგორც უფროსისთვის), ვიდრე ბავშვისთვის.

როგორ უნდა მოიქცეთ, თუ ეჭვობთ რომელიმე სახის ძალადობაზე

თუ დაეჭვდებით, რომ თქვენს შვილზე იძალადეს, ძალზე მნიშვნელოვანია, არ გაბრაზდეთ მასზე. არ აგრძნობინოთ, თითქოს მან რამე ცუდი ჩაიდინა და არ დაკითხოთ ბავშვი. შეგიძლიათ, ჰკითხოთ, თუ რა მოხდა, როდის ან ვისთან ერთად, თუმცა არ ჰკითხოთ, რატომ. შეეცადეთ, არ ინერვიულოთ ბავშვის თანდასწრებით: პატარები ადვილად გრძნობენ თავს დამნაშავედ და შეიძლება, დამალონ გარკვეული ინფორმაცია. ასევე შეეცადეთ, არ გამოიტანოთ დასკვნები მცირე ან ბუნდოვან ინფორმაციაზე დაყრდნობით. დაამშვიდეთ შვილი, უთხარით, რომ რამეს მოიმოქმედებთ და დაუკავშირდით ვინმეს, ვინც შეძლებს დახმარებას: ფსიქოლოგს, ბავშვთა სპეციალისტს, სოციალურ მუშაკს ან პოლიციას. ზოგ ქვეყანაში ფუნქციონირებს დახმარების ხაზები სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის. მიმართეთ მათ, თუ ვარაუდობთ, რომ ბავშვი სექსუალური ძალადობის მსხვერპლია.

სად მოვიძიოთ მასალა და ინფორმაცია?

ევროპის საბჭომ შეიმუშავა მასალა, რომელიც მშობლებს ეხმარება ბავშვებისთვის საცვლების წესის განმარტებაში. მათ შორისაა:

- სატელევიზიო მასალა (ანიმაციური მულტფილმი)
- წიგნი 3-7 წლის ასაკის ბავშვებისთვის
- პოსტერები და ბარათები

ამ მასალების ჩამოტვირთვა შესაძლებელია შემდეგი საიტიდან:
www.underwearrule.org
საცვლების წესი შემუშავდა ევროპის საბჭოს „One in Five“ კამპანიის ფარგლებში, რომელიც მიმართულია ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ. შეგიძლიათ, გაეცნოთ სხვა პრევენციულ და დამცავ ზომებსაც, რომლებსაც პოპულარიზაციას ვუწვეთ შემდეგ საიტზე: www.coe.int/oneinfive

www.underwearrule.net
www.coe.int/oneinfive

one in five
un sur cinq

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

KAT – © Council of Europe – ილუსტრაციები: ბუნგა